ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1841799

ნომერი: AR1301537

თარიღი : 14.04.2015

გაცემის თარიღი : 17.04.2015

გაცნობის თარიღი : 19.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 125 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01024018293
- ბერძნის ქ.39

ორგანიზაცია:
- შპს "აქსისი" კოდი: 211393357

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1447 (ცვლილება #201, 16.01.2012)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.09.2011

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ კილასონია, ნინო ხოსრუაშვილი, ოთარ

გოგავა

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "აქსის გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404954117

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "აქსისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211393357
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი კაპანაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024018293

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2491.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1463.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9055.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5086.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 746.3
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1320.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 704.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 38.3
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1159.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 29703.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 25753.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3950.1
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 35.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 33.25
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 821.2 მ2; კ1=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6759.3 მ2; კ2=2.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1027.2 მ2; კ3=0.4

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/160
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.01.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N125–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საჭიროა პირველ ეტაპზე შეთანხმდეს დემონტაჟის პროექტი (აგდ-ს მოთხოვნის შესაბამისად); დემონტაჟის სტადიაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს იპოთეკარის თანხმობა;
2. საკადასტრო გეგმაზე დატანილი შენობების კონფიგურაცია არ შეესაბამება ტოპოს. ასევე, შენობების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს;
3. დასაზუსტებელია კ2 კოეფიციენტი. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 გაანგარიშებული უნდა იქნეს

"ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4–13 გადაწყვეტილების მე–16 მუხლის შესაბამისად;
4. ავტოსადგომის სართულში არ არის მითითებული პანდუსის დახრის პროცენტულობა;
5. ავტოსადგომები განთავსებულია ისეთი მდგომარეობით, რომ ფიზიკურად ვერ მოახდენს მანევრირებას. საჭიროა დაცული იქნეს სადგომებში მისასვლელების ზომები;
6. ±0.00 ნიშნულზე არ არის მითითებული მანქანების მოძრაობის სქემა;
7. არ არის ნაჩვენები გათბობა კონდიცირების აგრეგატები;
8. ირღვევა სამეზობლო მიჯნები (1–1 ღერძზე +7,50 ნიშნულიდან);
9. არ არის წარმოდგენილი ფოტომონტაჟი რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით;
10. არ არის წარმდგენილი ბანერის ფოტო.
11. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერში (რეგისტრაციის N 882013634756, 25.12.2013) გაწერილია ვალდებულება: მხარეები ვალდებულები არიან შეასრულონ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები. წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ხელშეკრულება.

ამასთან გაცნობეთ, რომ შეტყობინებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნეს განაცხადის შესაბამის ველებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.